სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის თორმეტ მარტს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართა **გოჩა ხვიჩიამ** რომელმაც მოითხოვა თანხმობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გოჩა ხვიჩიამ** (დაბადებული: 08.11.1959წ. დაბადების ადგილი: ქუთაისი პირადი №01024022241 რეგისტრირებული: თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 47ა ბ. 42) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ თანხმობას. გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლისა თანახმად ორი ლარი, + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ" საქ. კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად + დღგ 0.36 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **გოჩა ხვიჩია** თანახმა ვარ, ჩემს მიერ შესრულებულ პროექტში მისამართზე: ქალაქი თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ (ნაკვეთი # 14/51) საკადასტრო კოდით 01.11.12.014.051 შეიტანოს ცვლილება კახაბერ დეკანოიძემ (დაბადებული:20.11.1974წ. პირადი # 01008022301) რაზედაც ვაწერ ხელს.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180251954
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.03.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მერაბ ფარჯიკია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	მობილური 591 709 989 599 19 64 09
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	56222412199118

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/01188-17
04-09 2017 წ.

დადგენილება №001068
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

04.09.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 04 სექტემბრის №001068 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. „ორიგინალი +"-ს (ს/კ №400081095; მის: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №108;) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (ნებართვის პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა, ავჭალის სახლის მოპირდაპირედ, ს/კ №01.11.12.014.051-ზე, შ.პ.ს. „ორიგინალი +"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის №1002683 (№3206363 18.04.2017წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ±0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია სარდაფის სართული; ±0.00 ნიშნულზე, „1-2" და „ა-ბ" მონაკვეთების კვეთაზე, იატაკის ფილაში მოწყობილია ღიობი. შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

2017 წლის 04 სექტემბერს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001068 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/01172432551-17 31.08.2017წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ორიგინალი +"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (ნებართვის პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა, ავჭალის სახლის მოპირდაპირედ, ს/კ №01.11.12.014.051-ზე, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის №1002683 (№3206363 18.04.2017წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ორიგინალი +" დაჯარიმდეს 2000 (ორიათასი) ლარით პროექტის დარღვევით II კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა) მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. „ორიგინალი +"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ორიგინალი +"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე /მ. ჯაველი/

საგადასახადო დავალება
Payment Order

0 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 06/09/2017

გადამხდელი / sender	რეფერენსი / Ref. Num.
შპს ორიგინალი +, 400081095	1732124898
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE71TB7610136020100001	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's bank: სს თიბისი ბანკი — ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22	2,000.00 GEL
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა / inforamtion on a person on behalf of whom the payment is made	თანხა სიტყვიერად / Amount in words
დასახელება / Name: შპს ორიგინალი +, 400081095	ორი ათასი ლარი 00 თეთრი
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 400081095	
მიმღები / ReceIver: ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ	გადარიცხვის საკომისიო / Transfer Fee
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263	1.4 GEL
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური — ბანკის კოდი / Bank Code: TRESGE22	ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date 06/09/2017
გადახდის დანიშნულება / Operation Details: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	
დამატებითი ინფორმაცია / Additional information: დადგენილება N:001068	ხელმოწერა / Signature
ხელმოწერები / Signatures — ბ.ა.	შტამპის ადგილი

06/09/2017 1:04:20 PM

1732124898

თიბისი ბანკი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებებს და უფლებამოსილებებს), რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დარიცხვის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge